საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N 15/12/06 2011 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქუჩის №17-ში მდებარე 2652 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1, საერთო ფართობით - 2413.02 კვ.მ, №2 – 1730.22 კვ.მ, №3 – 72.61 კვ.მ, №4 – 2.98 კვ.მ, №5 – 164.29 კვ.მ, №6 – 33.44 კვ.მ, №7 – 76.05 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.08.011.038) და ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქუჩის №58-ში მდებარე 6124 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 და №2, საერთო ფართობით - 3172 კვ.მ, №9, საერთო ფართობით - 504 კვ.მ, აგრეთვე ნაგებობები: №3, №4, №5, №6, №7, №8 და №10 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.08.011.030) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „SAYALI"-ს.

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა 2012 წლის 31 იანვრამდე;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული ქონების ბაზაზე მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულების ამოქმედება (გადაცემული ქონების რეკონსტრუქცია, რემონტი, ასევე სამედიცინო დანადგარებითა და ინვენტარით „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილების შესაბამისად აღჭურვა);

გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული ქონების ბაზაზე კომერციული ან/და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება;

დ) ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება 2015 წლის 1 იანვრამდე შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

დ.ა) 2012 წლის განმავლობაში - 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი;

დ.ბ) 2013 წლის განმავლობაში - 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარი;

დ.გ) 2014 წლის განმავლობაში - 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარი.

3. „SAYALI" ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად წარადგინოს განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 5%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს ორი თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი